კვირა, 23 აგვისტო 1915 წ. ფასი 10 კაპ.



ომის ღმერთი. მკითხავი, იქნება შენ მითხრა ოდეს მოვლება ბოლო
ამ საშინელებას!

მკითხავი ვეი!

სამი დღე კახეთში.

საამური სანახავი იყო ჩვენი მატარებელი, როცა ჩალოუბნის ხვეულში გველივით იკლაკნებოდა. ტყუილია, თითქო ქართველ ინჟენერს არ შეეძლოს გზის ხელოვნურათ მიხვევ-მოხვევა.—ეს ჩალოუბანი, პირში ჩალა გამოვლებულს დასტოვებს ჩვენ თავად-აზნაურებსო, იხუმრა ვიღამაც, როცა გზის პირად მოზღვაებული მეწყერი დაინახა.

თავ-თავქვე მატარებელი ცოტა მეტის სისწრაფით დაექანა და თითქო რაღაც მოულოდნელათ შეეჩერა ვენახებით აყვითლებულ სოფელში. სწორეთ გამაოცა ლეღვისა და ვენახის სიმრავლემ.

ერთ ეზოში, ლეღვის ქვეშ, ღრმად ჩაფიქრებული კეხიანი ვირი ება. ჩემს მეხსიერებაში უნებლიეთ გადაიშალა ის ფურცელი, რომელზედაც კიტას ფილოსოფოსი დათიკო კასრაძე სწერია. საზოგადოთ ყველა მოგზაურები აღნიშნავენ, ხოლმე, ქიზიყში, ვირების სიმრავლეს. „საქართველოს“ რედაქცია, სადაც დ. კასრაძე თანამშრომლობს, სამართლიანად არა სთვლის ამ გარემოებას სამწუხარო მოვლენათ.

ვირი, რომელიც ლეღვის ქვეშ ება და რომელმაც ისე უნებლიეთ მომაგონა ჩვენი სასიქადულო მოღვაწე, არხეინათ იცხონებოდა. მე მგონია იცოხნებოდა. სიმართლე მოგახსენოთ კარგათ აღარ მახსოვს იცოხნებოდა თუ არა. შეიძლება ეს ცოხნა ახლა დ. კასრაძის წერილმა მომაგონა და მე იმ უდანაშაულო ცხოველს მივაწერე. ყოველ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ „დედა-ენაში“ და თუ ვირი მცოხნელი ცხოველი არ გამოდგება, მაშინ ბ-ნი კასრაძე იქნება დანაშაული.

სოფელი სოფელს მისდევს, ზვარი ზვარს. ჩვენ გურჯაანს ვუახლოვდებით. აი აქ არის ის სანაქებო ტალახი, რომელიც თვით პოლონეთისა და რუსეთის ტალახებს სჯობობს ღირსებით. მართალია მათ დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვთ და თუ რაიმე მნიშვნელობა ჰქონდა თანამედროვე ტალახების მსგავსი, უკვე დაჰკარგა რკინის გზის გაყვანით, მაგრამ ხალხი მაინც ძლიერ ეტანება და ჩვენს მატარებელსაც ბევრი საინტერესო ტვირთი მოაკლდა.

ამ ტალახის ეროვნულ მნიშვნელობის შესახებ ქვევით მოვილაპარაკებთ, ახლა კი მინდა შევეხო, მის ღირსებას, როგორც ასეთს.

გურჯაანის, ანუ უკეთ ესთქვათ ახტალის ტალახი, ეს იგივეა, რაც ახოზაძის სპერმატიანი, ან სხვა რომელიმე ამგვარი მედიკამენტი. ის არჩენს ყოველგვარ ავათყმოფს. განსაკუთრებით ის უხდება ყოველგვარ ქარებიანს, გარდა ერთგვარი ქარებისა. სამწუხაროთ ეს უკანასკნელი სახე ქარებისა ყველაზე მეტად გავრცელებულია ჩვენს ინტელიგენციაში ფეხისა და საზოგადოთ ტანის ქარი ერთი კვირის ტალახში გორაობის შემდეგ სრულიად ქრება.

მე კახეთისათვის წინეთაც მომივლია თვალი თვით „ვარსკვლავთა მომიჯნავე“ ქალაქიდან დ. მინახავს ალაზნის ველის დიდებული სანახაობა. ამიტომ არის, რომ პოეტურ აღტაცებას ადგილი არა აქვს ჩემს შენიშვნებში. დღევანდელი ჩემი მოგზაურობა უფრო კერძო ხასიათისაა. ჩემს მეზობლს ქ. თელავი შეადგენს და მხოლოდ საღამოს ექვს საათზე შეჰკვლა მატარებელმა სადღაც შორს, მთის ფერდობზე გაშენებულ პატარა ქალაქს.

სადგურიდან თელავამდე ოთხი ვერსი აღმართია. გერმანელები, როგორც მოგეხსენებათ, ოცი წლის წინეთ აკეთებდენ დღეს გამოსადეგარ გზებსა და პლათფორმებს. წინასწარ განსჯერეტა საგნისა არც ქართველ კაცს აკლია. ამიტომ არ მიკვირს, როცა ქალაქიდან ასე შორს დაუჭერიათ სადგური. ვინ არ იცის, რომ ქალაქი გარყვნილების ბუდეა და გამხრწნელ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე. კახეთის რკინის გზა უფრო სასოფლო გზაა, თუმცა აქა იქ დიდრონ სოფლებსაც გაურბის. ერთი სიტყვით მრავალგზის აიხსნება სადგურის ქალაქიდან ასე დაშორება და ძნელი სათქმელია ინჟინერები რომლით ხელმძღვანელობენ.

პირველი დღე ქალაქის დათვალიერებას მოვანდომე და არც შევცდი, რამეთუ საქმე დარბაზობით რომ დამეწყო ქალაქი უნახავი დამრჩებოდა.

უშესანიშნავესი ნაშთი თელავისა ერეკლე მეფის სასახლეა. იქ ამჟამად სასწავლებელია მოთავსებული, სადაც პატარა ქართველი გოგოებს რუსულ ლაპარაკს ასწავლიან. უნდა გულახდილად ითქვას, რომ ამ მხრივ სასწავლებელს დიდი სამსახური გაეწევია და რაიმე სასწაულით რომ დღეს კახეთის ლომი, პატარა კახი, აღსდგეს, უეჭველია თელავში მას თარჯიმანი დასჭირდება. კიდევ კარგი, თუ აღდგომისთანავე პატივცემულ ფერშალ

მარტინოვს გადაეყარა, რადგან ის ერთად-ერთი კაცია თელავში, რომელიც ქართულად ლაპარაკობს.

სასახლის ერთ პატარა ოთახში კედელზე ფირფიტაა მიჭედილი, რომელზედაც აწერია: „ამ ოთახში გარდაიცვალა მეფე ერეკლეო“. იქვე, (ვგონგ ბუხრის თარაზე,) მიყუდებულია პატარა ლია ფერილი, რომელზედაც ერეკლე მეფე ხატია. წარმოიდგინეთ მე არ გამეცინა, როცა ყოველივე ეს ენახე. არ გამეცინა იმიტომ, რომ თელაველები, როგორც საზოგადოთ ყველა ქართველები, ძლიერ ჭკვიანი ხალხია, და თუ მართლა საჭირო იყოს ერეკლეს სასახლეში მისი ძეგლი, ან თუნდაც შეესაფერი სურათი, ერთი სიტყვით თუ საჭირო იყოს ამ კაცის პატივის ცემა, განა ასე დასტოვებდენ დიდებული გმირის ოთახს? ვინ იცის, რაკი ერეკლეს **„პატარა კახს“** ეძახდენ, იქნება მართალია **პატარა სურათი** არის საჭირო! მაგრამ თუ ვინცობა ეს უყურადღებობა დანაშაულია კახეთის გმირის წინაშე, იმ შემთხვევაშიაც ახლანდელი თაობა ადვილი გასამართლებელია.

საქმე იმაშია, რომ თუ ისტორიას დავუჯერებთ მისი თანამედროვე ქართველები პირდაპირ **აღმერთებდენ თავისს** საყვარელ მეფეს. მისთვის არ ზოგავდენ არა თუ შვიდ მანეთიან სურათსა და ჩარჩოს, თვით სიცოცხლესაც კი. ათ მცენებაში პირდაპირ სწერია, რომ გარდა იეგოვასი არავისი გაღერთება არ შეიძლება. მე ვფიქრობ და ალბათ თქვენც დაეწმენებით,—**ეი ამიტომ გაუწყრა ღმერთი** საზოგადოთ კახელებს და კერძოთ თელაველებს.

თელავის ბულვარი ზედ სასახლეზეა მიყრდნობილი და ჩემი მისვლისას საგანგებო სანახაობას წარმოადგენდა. ვიღაც არამზადას ჩამოეკლო და გზიდან ამორჩეული უზარმაზარი ქვები ყველა ზეგით ამოეყარა. ამგვარათ, საუცხოო წალკოტი აღმაშფოთებელ სანახაობას წარმოადგენდა. მიუჩვეველი ხალხი ხან აქ, ხან იქ ეცემოდა და შეესაფერი სიტყვებით იხსენიებდა ამ საქმით ჩამოდენთ.

ამბობდენ:—წუხელ საღამოს ქალაქის თავი ცოტა შეზარხოშებული შემოვიდა ბაღში, ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა და ცხვირი ილრძოო. ამიტომ განკარგულება გამოსცა ქვები ამოეყარათ ზეზე, რომ ფხიზლებსაც ფეხები წაეკრა და ცხვირები ეღრძოთ.

მე ეს ამბავი არ მჯერა. მე მგონია ეს ჩემ წინააღმდეგ იყო მოწყობილი მახე, რომ სადმე ფეხი მომეტეხა. საზოგადოთ ყველა ქალაქის თავი მემდურის, თუმცა არავისთვის არაფერი არ დამიშავებია.

ნადიკვარი, ეს თელავური ეიფელის კოშკია. იქიდან საუცხოო სურათი იშლება თქვენ თვალწინ, და აი ამიტომაც თელაველები იქ თავს ღამით იყრიან: მაშინ მდელოზე გორაობა ადვილი მოსახერხებელი საქმეა. ვისაც ბულვარის ქვებზე ხტუნაობა მოეწყინება, ის ნადიკვარის მინდორზე მიდის საგორაოთ, ხოლო ვინც გული იჯერა ნადიკვარზე გორაობით, ის ბულვარის ქვებზე ხტუნაობით აგვირგვინებს ყოველდღიურ საქმიანობას.

როგორც ბულვარში, ისე ნადიკვარზე ყოველთვის მდედრობითი სქესი სჭარბობს. შეიძლება ეს დღეს დღეობით იყოს, რადგან მამაკაცთა უმრავლესობა ჯარში და დრუჟინებშია გახიზნული. განუწყვეტელი ჟივილ-ხივილი, სიცილი და აყღურტული ჰხიბლავს უცხო მოგზაურს.

უმრავლესობა თელაველებისა რუსულ ენაზე ლაპარაკობს, ხოლო უმცირესობა რაღაც საშუალო, რუსულ-ქართულზე. წმინდა ქართულათ მოლაპარაკე ჩემ დროს მხოლოდ ბ-ნი მარტინოვი აღმოჩნდა.

კულტურულ დაწესებულებათა რიცხვი თელავში ერთობ დიდია.

დავიწყოთ „მირთვიო ოტდელიდან“. ის გადმოდგმულია ნადიკვრის მაღლობზე და მედიდურათ დაჰყურებს მთელ ალაზნის ველს. სახლი თეთრად არის შეღებილი და სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

თელავის კლუბი რომელიც პირდაპირ გადაჰყურებს ბულვარის რიყეს, ორსართულიანი აგურის შენობაა. აქ იმართება წარმოდგენები, ვახშმები და სკანდალები. ხალხი ერთნაირის თანაგრძნობით ეკიდება ყველა დარგს კლუბის მიერ დასახულ მოღვაწეობისას.

სატუსაღო დაბალს ერთსართულიან შენობას წარმოადგენს. ის გაშენებულია სასულიერო სასწავლებლის სამხრეთ დასავლეთ მხარეს. გარდა ციხისა (სატუსაღოსი) თელავს აქვს კიდევ ეგრედ წოდებული „არესტნი დომი“.

ერთი სიტყვით არ შეიძლება ითქვას, რომ თელავი ჩამორჩენილი იყოს სხვა სამაზრო ქალაქებთან შედარებით.

ეშმაკი.

ქართული კლუბის კულისებში.



ინჟენერი. რა ვქნათ ჩემო დაო, კანონი ასეთია, ბინა უნდა დასცალოთ, თორემ ჩვენ ჯერჯერობით არაფრად არა გვჭირია. აი დათუნას თუ დავაყენებ შიგ.

გამოძახილი.

(სუფდიანი ლიღინი)

ქალაქიდან წამოველ
სოფლად დავიარები,
სიცხე თუმც არ მაწუხებს
გრილი არის დარები,
ბევრ მხიარულ ოჯახებს
მიუკეტავს კარები,
შებრალება არ არის
ვერვის მიეკარები.
დედა ობლათ დასტოვეს
(მოსტაცეს პატარები),
აღარ ისმის ღიღინი
დროის გასატარები.

—

ვიცით ვისი ბრალია
ჩვენი დაძაბუნება,
მაგრამ ეს რა ცოდვაა
რომ გვიწყრება ბუნება?!
მოსავალი არ მოდის
სულ წაგვიხდა გუნება,
(გლეხი თავის ყანაში
ტყვილათ ებრაგუნება!)
მემამულე სულსა გვხდის
მაინც გვებუზღუნება!
(მადლი არის მათრახით
მათი შეფუცხუნება).
ისეთი რა ვიპოვოთ
რომ არ დაიწუნება
აღარავის არა სწამს
ქვეყნის გამობრუნება.

—

ყველაფერი გაძვირდა,
ხინკი არ იშონება!
ხალხი ხსნილშიც მარხულობს
(კარს მოადგა ცხონება!)

სიმწარემ დაუბნია
ყველას ქკუა გონება:
(მკითხავებს აღარ ყოფნის
საწყალ კაცის ქონება!)
ყველას უნდა ჩვენს ზურგზე
ლხენა, გაბატონება,
ეშმაკი ვერ გაიგებს
ვინ დაგვეპატრონება.
მე კი ეს დრო არ მომწონს
და არც მომეწონება,
მაგრამ მაინც არ ვდარდობ
შორს სევდა-დაღონება.

—

ქალაქიდან წამოველ
სოფლად დავიარები
თუმცა ჟამი არა დგას
დროის გასატარები,
მაგრამ ბევრი გავიცან
სოფლის გამამწარები
და ქითაბში ჩავსწერე
მე იმათი გვარები.
ვფიქრობ ამით საწყალ ხალხს
რამეს მივეხმარები,
მართალს კი არ დავჩაგრავ,
ფაქტებს დავემყარები.
ჩემი მწველი მათრახით
ვისაც მივეპარები—
ვერ უშველის ხალხისგან
წანაღლეტი ფარები.

მათრახოსანი.

გოგია და გლახუნა.

(გურული სცენა)

გამარჯობა შენი გლახუნა. რავა მოგიკუპრავს ბეირ-პირი, რაცხა ფარკაგი ამბავი არაა შენ თავზე. ბიკო, მართლა მეორე სორტის რატნიკი ხომ არ ...ან?

— ქე გცოდნია და რაღას მახელებ გოგია თუ ...ა ხარ. ველარ ხედავ მორეთ მოსვლა დგება რაცხა ...ტრე ქრისტე მოვაო რომ ამბობდენ, წროულს ...ის მგონი, მაი.

ეი გეიგო ჩემმა ...ოლმა, ხვარანძიამ, მაინც არ იყო კაი სახის იგი ...ჩენებული, წოუშვა დრეჩი, ზლუქუნობს და ზლუქუნობს. დუუგძელდა ცხვირი გერმანიის ყუმბარასავით, ჩუეშავდა ოვალები ქავთარაძის სიმინდსავით, მომდგა და მომდგა:

-- შენ დედ-მამის ერთად-ერთი შვილი იყავი-ვაინაში არ წაგიყვანებდენ მეგონაო, თვარა კაცი ხომ არ იყო დალეული, შენ რომ წამოგყობოდიო.

მივეფერე:—ბეჩა რავა წაგივიდა ლახი, არც მასეა ჩვენი საქმე მეთქინ;

თუ გაწყრა ღმერთი და მართლა წამიყვანეს, თოფში მაინც არ გამიყვანებენ, შემაგდებენ ქუხნაში, ვოლი და ვოლქართოფილს, ვაკეთებ და ვაკეთებ ხარჩოს, და თუ აფიცრობას არა, ფერთობილობას მაინც კი მომარტყამენ მეთქი.

— მაი თუ მასეა, ვაინი კი არა ქორწილი იქნება შენდა, ერთს გამოძღები და სულს მეთქვამო, მითხრა ხვარანძიამ, მეეშმიტა ცხვირი და ამეიწმინდა თვალები. იგი ქე ვანუგეშე პაწე, მარა ჩემი მანუგეშებული აწი ვინლაა?

— ვაი შენ საწყალო გლახუნა! ბიკო ასე მტერი ნუ შეაშინოს ღმერთმა! ჰაიტ, შენ გლახა, რავა წაგსვლია ლახი, ღმერთია მოწყალე. მე რომ გასწავლი ისე მეიქეცი და არ წაგიყვანებენ.

— არიქა, გოგია, მიშველე, თუ რამე იცი მასწავლე, მარა ი, საწამლავი და სასუნგელი, რუმაა, იმაზე ვერაფელი გზით ვერ დაგეთანხმები.

იგი ვინცხამ დალია და უსუნა, რაც წეიკიდა ქე იცი.

— მეიცე ბიკო, მიყურე, რის სასუნგელიო! სასუნგელი კი არა, საქმელს მოუკელი პაწე.

თვარა, მე რომ ბორჩებს და კატლეტებს ვქამ... სამი დღეა მოცვის კეკალეს მეტი არაფერი მიქამია ყანაში, და წყავის დამწიფებას აღდგომის კვერცხსავით ეუყურებ.

— იმ მოცვსაც გაანებე ამ ორ დღეს თავი და კარგათ რომ მიკანკარისდები, გაგსინჯავენ ბათომში ან ოზურგეთში, და წაგიწერენ ბილეთზე: „საერშენა ნე ზნაიტ ვაჟნი სლუჟბა, ბრაკუტ შეადესიატ შესტი სტატიაო და ქე გამოგიშობენ სახში.

— ბიკო, გოგია! მაი, ქე მეეაშნიკა პატარე ყურში. სულ არაფელს არ ვქამ, ახლანდელი ჭადის ჭამას უქმელი რომ იყო სულ იგი ჯობია. ვაინა და უბედურობა აწი იქნება თურმე. გერმალიე წერს ახლა თურმე გაზეთში, ერთ ისეთ რამეს ვიზამ, რუ მე ქვეყანას გავაკვირებ და ქეც დავყრი

მერე ზავსო.

ამ თათრებს კი უტირეთ დედა: გაზეთებში სულ ასე სწერდა: „თათრები იხევს და იხევს უკანო!. არა იმ ოჯიხქორებმა სქელი ჩაქუჩეს შეკერვა ქე იციან მარა, რა უსაშველო მაგარი ყოფილა, აგერ ერთი წელიწადია ახევენ უკან, მარა მაინც არ გათავდა იგენის უკან ხევა. ყორიფელია მარა აგი რაღა ეშმაკია ქაღალდში რომ გამოგიხვევია? სატუჟურკე ხუმ არ გიყიდია?

— სატუჟურკე კი არა, იგი არ გინდა, სიმინდის საყიდლათ მივალ ჩოხატოურში; ჩვენ კომპერატიაში ქე დალეულია.

— ჰოი, დაგწყევლოს ღმერთმა! როის იყო ბიჭო ტომარას ასე უფრთხილ დებოდი და ქაღალდში ხვევდი?

— აი საკრეტია ჩემო გლახუნ, მარა შენ ქე გეტყვი, რაღას დაგიმალავ. აი ტომარე რომ კლავზე წამოვიკიდო, გეიგებენ! გოგიამ სიმინდე იყიდაო მომადგებიან ჩემი მეზობლის ქალები, მომაყენებენ ქოთანს ქოთანზე, კოპობას კოპობაზე, კოთხოს კოთხოზე, მე ჩენჩილაი მასესხე, მე ჩემო გოგია კარგათ დამიბეკნეო და ქე გამომიცლიან საქბილე ჩაკას. ნუ გეშინია ვარს ვერ ვეტყვი ვერც-ერთს. არა, ყველაფერი რამ გაამწარა წაროულს ააჰ?! წახანე, სიმინდის საყიდლათ რომ გავეპირე, ტომარე გამოვფერთხე ხულეს წინდამ. „უუუუ!!“ რომ იბრგვინეს ქათმებმა, მომალაგდენ მარა რაფერ, გამახსენდა რუსების ერში ნასტუპლენიე, გამეცინა დავახვანჭალე აი თეთრი კბიდები. შოუხტა მამალმა და ზე წინა კბილზე მძიძგნა ნიკარტი: თურმე სიმინდი ეგონა! პატარე უკან დევიწი თვარა, თლათ ჩამაყრევიებდა, ისე კაი მოფამფალებული ქე მაქ. ასეა საქმე გლახუნა. ვინ შემატყობს რაი მაქ ამ ქაღალდში, გადავიარ ასე ზედა ციხეებიდან ძირ-ძირ, ვიყიდი ერთ ფუთ სიმინდს და რომ დაღამდება მევიგდებ ზურგზ და ქე ამოვიტან, კაკალი კაცი ვერ დამინახავს, ისე, შენ ნურსა იტყვი და, თუ დაბეკანილი არა, ჩენჩილას მაინც გასესხებ. ახლა შვიდობით გლახუნა, ღმერთმა დაბრკალული მანახოს შენი თავი.

ლუკაიეს ობოლი.

ᲥᲐᲠᲐᲒᲘᲐ

ევროპის სახელმწიფოა,
დღეს ომის მაწარმოები...
ცოტად, თუ ბევრათ შელახა
ავსტრიის მიდამოები.
    გაწოლილია ზღვის ზურგზე,
    ვით ჩექმა, უზარ—მაზარი...
    აფრიკის ჩრდილოეთზედა
    თათრებს წაართვა ბაზარი.
მოდი, მას თავი მოვკვეცოთ,
ერთი ხმა, ასი ხმოვანი,
მოვკვეცოთ ორივ ფეხები,
(ბრძოლად ვართ აღნაფრთოვანი!)
    დაგვრჩება სამი ანბანი,
    ხმოვანი შორის უხმოთა
    და მისი კვალად შეკვეცით
    თავი არ შეიწუხოთა.

—

აწ სათევზაოთ წავიდეთ
სად ცრემლი მთისა სდიოდეს
ბროლისა წყარო კამკამი
ქვიდან ქვად გადასდიოდეს.
    იქ უყვარს იმას ცხოვრება,
    მალხაზს, ჭრელ ქათიბიანსა,
    შეჰხარის ტყეთა სიმშვენეს,
    წყლის ჩქერ ას, დღესა მზიანსა.
თუ დაიჭიროთ, მოსჭერით
მას კუდით, სამი ანბანი
და მზად გვექნება უკლებლათ
ჩვენ საშარადე საგანი.

—

    დახეთ, რა სიტყვა გამოდის!
    რა საუცხოვო კრებული!
    არა თუ მედიცინაში,
    სტრატეგიაშიც ქებული.
მადლი მეუფეს, ბევრი გვაქვს
ეს განძი, აწ ფას უდები,
შიგ მობანავე კამეჩი,
ურემი ჩანაყუდები.
    და მტერი ვერას დაგვაკლებს
    თუნდ უძლეველის ძალითა,
    თუ შემოვფარგლავთ სამშობლოს
    ჩვენი შარადის რკალითა.

კოლო.

ნოქართა კლუბი

ერთხელ იქ შესვლით ვერრას შეატყობ,
გგონია საქმე გაჩარხულია,
მაგრამ მე ვიცი გამგეობაში,
ძალისა თავი დამარხთლია...
ბევრჯელ მინახავს იქ საზანდარი,
ლოტოს თამაში გამართულია,
წარმოდგენები განზე გადასდვეს
რუსულ-სომხური, თუ ქართულია.
მიზეზად ამას ასახელებენ:
—მზად არა გვაქვსო დეკორაცია,
განა როკოკო იყო საჭირო,
რომ გაეძართათ ერთხელ ლექცია?
სამკითხველო კი „ქების“ ღირსია
შეყვარებულებს იქ უძევთ ბინა,
და ისიც ვნახე, შეზაფხაშებულს
ერთ „ფრანტ. ყმაწვილ კაცს ტკბილად ეძინა.
ამისი „სატრფო“ ყელ-მოღერებით,
რომ აღვიძებდა „ფრანტ კავალერსა“
ისიც წამოდგა, ტკბილი ღიმილით
სატრფოს შეეხო, მიუალერსა.
კლუბი არსებობს მხოლოთ იმისთვის:
დათვრეს ივანე, პეტრე, ილია,
დიდ „ხოდში იყოს ვინო საერო“
„ნავერტელე“ და ჩახოხბილია.

—

დღეს უნდა მოხდეს წლიური კრება,
არჩევნებისთვის დაიდგას ყუთი,
და „სტარშინებიც“ ემზადებიან
„რეჩი“ წარმოსთქვან ხუთ-ხუთი ფუთი.
ძველი ადგილი შეინარჩუნონ,
ეტყობა ყველას დიდი აქვთ მადა...
რაც, რომ „იშრომეს“ ისიც ეყოფათ,
„დასვიდანიე ბოლშე ნე ნადა.“

რ. ჯიბლ.

პროვინციის პატარა მოღვაწეები.

კოსტა ერქომაიშვილი.

„აზნაური“ კოწია ერქომაიშვილი დაიბადა ოზურგეთში კარგა ხნის წინად, მხოლოდ თავის მოღვაწეობა დაიწყო მეოცე საუკუნის დასაწყისში.

ვინ არის კოსტა?

გარეგნული მოხაზულობით მჭლე, ჩია კაცი, მარა გარეგანი მოყვანილობა განსხვავდება მის ცხოვრების საიდუმლოებისაგან. ჭართალია მან მეოცე საუკუნიდან შემოყო ფეხი ოზურგეთში, მარა პირველ ხუთი წლის განმავლობაში არ იცოდენ მისი ვინაობა.

ოზურგეთის განათებამ გაანათა კოსტა, ამ ხნიდგან ის მოცურავს ზევით და დღემდის არ შეჩერებულა. 10 წელია კაცს არ დაუსვენია, 10 წელია „საქმიანობს!“

ოზურგეთში დაბუდების შემდეგ აიწია ზევით და მეორე სართულ სახლში შეჩერდა. აქ მან მოახდინა „ოჯახური“ ზრდის გათავება, მხოლოდ საზოგადო მოღვაწეობაში წინ წაიწია და ცალი ფეხით გადაახტა ოზურგეთს.

1906 წელს „რაიონის წარმომადგენლათ“ იქმნა არჩეული ოზურგეთში და შეუდგა „ვასილიზმ-დიმიტრიზმ-ნიკოკიზმის“ იდეის ქადაგებას... ამაში მან კარგი ნიჭი გამოიჩინა და კიდევაც გამოიღო ნაყოფი. „იდეური საქმიანობით“ ის არ კმაყოფილდება, ის მიიწევს მატერიალურ გაუმჯობესებისაკენ და იერიშები მიაქვს ქალაქის კასაზე:

ვერ მოითმინა-კოსტას სიწმინდემ
თუმც ოზურგეთის აქვს სიყვარული
და შიგნით შეძვრა-მოულოდნელათ
გამოაცოცა მცირედი ფული.
და ანგარიში რომ მოითხოვეს
— კოსტას აუდის სხვა გვარი სუნი;
გამოაცხადეს:—„ოთხასს მანეთის
ძაღლებიაო გადათრეული“...

ამით არ თავდება კოსტას მოღვაწეობა. ის ისე გაიტაცა „საქმემ“, რომ „საარჩევნო ომშიც“ ერევა.

ჩამოიარა მთელი ქალაქი,
სამი მანეთი აქვს მიცემული,
თითო ხმისათვის („შავ-შტაბისაგან“
თითო კაცზედა გადადებული)...

„ვასილიზმის“ დიქტატურის გათავების შემდეგ კოსტა „მოხუცდა“ და წელში მოიკაკვა... ეს მოკაკვა გამოიწვია ახალი ქალაქის „ღუმის“ შედგენამ და ტაქტიკიური მოსაზრებით უმჯობესი შეიქნა „კანის“ გამოცვლა, რომ ახალ ცახზე ასულიყო... ეს კიდეც შესძლო.

მაგრამ ერთ ხანათ გამოიცვალა
გამოიჩინა კეთილი გული,
მოგეხსენებათ, ეშმაკს შეაცდენს
თუ **მარცხნით** მიდის მცირედი ფული...

პროვინციის პატარა მოღვაწეები



ოზურგეთის „ბაზარნიკი“ კოსტა ერქომაიშვილი.

იმ დროს, როცა სხვა ვერ გაფასებს, სმჭირია თვით დააფასო რა ღირხარ და აქედან თუ სხვა არ გაძლევს უნდა თვით აიღო. კოსტაც ასე მოიქცა, მან დაასწრა სხვის დაფასებას და აიღო. .

ომიანობის ხანამ „გაახალგაზდავა“ ბებერი კოსტა, წელში გაიმართა, გასწორდა და „მომაგრებული“ გამოდგა ფეხები ყოველ მხრივ... დღეს კრიზისია ქალაქის თვითმართველობაში, დაყუდებულია საქმე... ასე რომ „არ იციან რა ხდება დანიის ქვეყანაში“, ყველაფერი სურვილზეა და აქ კოსტა აქტიორობს...

შეუძლებელია ყველაფრის დაწვრილებით გარჩევა, მაგრამ მოკლე ისტორიიდანც საკმარისია კოსტას მაყვინილობის განათება და ამ არევაში არ არეულა კოსტა...

ის იცავს ქალაქს-„ებრძვის“ ანტიპიენას და **აი როგორ:**

დუქნების უკან და მოედანზე
სეირნობს ხშირათ ძროხა, ან ღორი
კოსტამ კი იცის, რაშია საქმე
აღებული აქვს ერთი ან ორი...
თუ რომელიმე ვერ მიხვდა საგანს
და „უიმისოთ“ ღორი გადენა,
მაშინ სეირი დატრიალდება,
კოსტას მოჰკითხეთ იმის შედგენა...

ამ მიწურულში კოსტამ დიდი ნდობა დაიმსახურა.

„მოღვაწეობა“ აქვს საკმარისი,
მას ეპივრება დღეს პარაკლისი,
და მომავალში კვლავ შევუსრულებთ
თუ კი რამე აქვს აქ დანაკლისი...
წმინდა აქვს გული და სიყვარული
მისთვის ღმერთია დღეს მხოლოდ ფული,
და ამ ქვეყნიდან სამსხვერპლოსაკენ
მიაქვს ჩვენ კოსტას ნათელი სული...

ფონ-ქაჯი.

მეგობრული შარჟი.

"სოფლის ფერშალი" შარჟი
ალ. ჟორჟოლიანისა.



(ალ. ჟორჟოლიანი) „ფერშლის
როლში.)

— კაკაია რაზნიცა, დოქ-
ტორ ფაიტონ, ია ლოშად.

იარაღის დაყრა.



ომის ღმერთმა, მარსმა, მხოლოდ ორიოდეჯერ წაიკითხა ბ-ნი გ. ბ—ლის ომის მიმოხილვა გაზეთ „საქართველოში", უკვე იარაღი დაჰყარა, მ—ბ—ლუის გადასცა მისი გამჭრიახობის წინაშე ქედიც მოიხარა.

მოხსენება.

ხ. სოფლ.

სოფლის ფერშალ ვაკეს ჩვენ ვიცნობ ერთ ერ,
ვინ ეს ეგეთ ერ ერ ეგეთ ერ ერ ეგეთ ერ ერ

ს. ბუბი.

(ჩვენი მოძღვრის გულკეთილობა).

მეზარე. მე ზევით ავალ, რადგან დროც არის,
რომ დაირეკოს წირვისთვის ზარი,
შენ დიაკონო, სინდისს გაფიცებ,
ჰა კლიტე, მიდი გააღე კარი.
სადაც იქნება, ხუთიოდ წუთში,
აქვე გაჩნდება ჩვენი მოძღვარი
და თუ მომისწრო კარ დაკეტილი,
ვეღარ მიშველის ძილეთის ჯარი.

დიაკ. — გინდა დარეკე, გინდა ნუ რეკავ,
მაინც გაგვიდგა სამწყრსო და ერი;
გინდა გააღე, გინდა დაჰკეტე,
მაინც შემსვლელებს არვის ველი!
ნუ თუ დაჰკარგეს სარწმუნოება?!
ა? განა არის ეგ დასაჯერი?
წინათ საყდარი აღარ ყოფნიდათ,
დღეს სადღა არის მლოცველნი ჩვენი!

მეზარე ეჰ, ჩემო ძმაო, შენ კარგათ იცი,
ის მიზეზები და ამოცანა,
რამაც ეგ მრევლი, ერთ დროს ერთგული,
დღეს შეარყია და შეაქანა.
იესოს, ღმერთსა, ასე ამბობენ,
კი ჰქონდა ქვეყნათ იმედნი ძალა,
მთელი სიმდიდრე ამ წუთი სოფლის,
მოეკრიფა და ხელთ ჩაელალა:
მაგრამ ამბობენ, თვისი ცხოვრება
ვით მათხოვარმა აქ განატარა,
ორ პერანგშია ქადაგებდაო,
ერთი მიგეცა სხვისთვისა. მარა,
ხომ ხედავთ მოძღვარს და მასთან შენცა,
როგორ გაგიტკბათ ესე ქვეყანა!
თქვენი მუცელი აღარ აივსო,
როგორც უძირო ჯვალოს ტომარა;
თქვენგნით სიწმინდე სარწმუნოების,
გაუწმინდურდა და შეიბღალა!

დიაკ. — რაო? რას ჩმახავ, შენ ჰე მეზარე!!
— ნეტავი სადმე ხომ არ დამთვრალა?!
მაშ მშიერს ვივლი შენმა სიცხემ?!
ეს მათ გადაეც ვინც დაგაბარა!..

მეზარე — შიმშილით რადა? ჯამაგირი გაქვთ:
მკვდარი, ცოცხალი კიდევ თქვენია
და დრამა რიღას მიჩანჩალაა,
რომელ ეშმაკის მონაგონია!?
მე თუ მეზარეს, ზედმეტ შრომაში,
დღეში აბაზიც არ მიშონია,
თქვენ მანეთები, სამი და ოთხი,
ნუ თუ არ გყოფნით? არა მგონია!
ორი თქვენ ოდენ გამოვიჭრები,
სჩანს, ალბათ, მადაც მეტი მქონია,—
მოდი,—სამივემ სწორათ გავიყოთ
დღემდის ეგ თქვენი „მონაპოლია“!..
— უყურებ აგერ „ბორჩიკ“ ილიკოს
და იმას უკან „პომოშნიკ“ ლუკას?
ბრძანება არის და თქვენი თხოვნით,
პირში აგლეჯენ სოფლელებს ლუკმას!
თუ ფული არის, ხომ უკეთესი,
თორემ სიმინდი, ნოხი ფარდაგი,—
აი, ეს არის, ჩემი პახუმე,
შენი და მოძღვრის ხალხზე ამაგი.
ხალხს მარჩენალი ომში წაართვეს
გადასახადი, ომით, სამოცი
და თუ რამ ჰქონდათ, უკანასკნელათ
შემოაცალეთ ტანზედ სამოსი.

პომოშ. — დილა მშვიდობის ჩემო პახუმე!
დილა მშვიდობის „სტაროსტა“ თედო!

სბორშჩ. — დილა მშვიდობის! მღვდელი სადარის?
მსურს თხოვნა მცირე შემოუბედო!

მეზარე — რად გინდა მღვდელი?—ჰა ისიც მოდის.
მშვიდობით,— უნდა შემოჰვკრა ზარას,
თორემა მღვდელი გამიჯავრდება,
მიჯობს სიკვდილი მისს ხათაბალას..

მღვდელი.—გწყალობდეს ღმერთი, ის ერთათ ერთი!!

პომ. სბორ.—შენდობა მამავ,—მოითხოვს რჯული!

მღვდელი.—თქვენ ეს მითხარით პატივცემულნო:—
სულ მოაგროვეთ დრამისა ფული?

ილიკო.—სწორედ მაგისთვის ჩვენ გიახელით,
რომ შეღავათი მიეცეს ხალხსა,
თორემ ვერ შესძლებს, ან რა გაუძლებს
მოთხოვნილებას და ამდენ ხარკსა!?
ზოგს მარჩენელი სახლში არა ჰყავს,
ომში იცავენ „სამშობლო“ კერას,
ზოგნი დაჭრილნი დაბრუნებულან,
ძაფი აჩნია ჯერ განაკერავს.
ზოგი ოჯახში ორნი იხდიან,
თქვენივ შეწერით, მე მგონი გჯერავს!
და გთხოვს, უმწეო, ხალხი მოძღვარო,
რომ აპატიო ასეთებს ყველას!

მღვდელი.—რას ამბობ ბოშო, რის პატიება,

ეს ჩემს სურვილებს აღემატება,
მაგას აგროვებს თვითონ ხაზინა,
ზევიდან არის თანვე ბრძანება!
და მე კი აქა, რაღა შვაში ვარ?
ხომ ხედავ სხვისი ყოფილა ნება!
და ესეც კიდევ რომ არა იყოს,
მღვდელს ვერ გააძღებს, ლოცვა, ვედრება.
უნდა იცოდეთ, მეც ვით მიწის შვილს,
ჭამა მჭირდება, კუჭიც მემსება.—
და წადი დროზე, მოკრიფე ფული
ან რაც უპოვოთ ის გამოდგება!

ილიკო.—ასე ამბობენ ზოგიერთ მღვდლებმა,
მთლათ აპატიეს დრამის ფულია!?

მღვდელი.—ალბათ მდიდარი მრევლი ყოლია
აქვთ ძველის ძველი შენახულია!
ჩემი მრევლი კი, თავს ძლივსღა ირჩენს,
ისე ღარიბი და უძლურია!

(ჩუმათ).—შვილო ელიკო, ხომ გახსოვს ძველად
ჩემი ულვაში, ჩემი წვერია?!
განა ეს ხალხი არ იყო რომა,
გამპარსა, როგორც კატორღელია?

(ხმა მაღლა) დღეს, პატიებას ჩემგან ითხოვენ,
არა გრცხვენია—არა გრცხვენია!!

ილიკო.—მამაო იგი სხვა მრევლში იყო!

მღვდელი.—კმარა! მე ვიცი ყველაფერია!
შენ წადი, შენი საქმე აკეთე,
ეგ თავი ტყუილათ აგიღერია,
თან გაიყოლო ვინც გახლდა—ლუკა
და შეასრულე ნაბრძანებია!
აბა მშვიდობით!—და გაათავა!
წირვას შეუდგა ეკლესიაში
და მოციქულნი ასეთ პასუხით
დაღონებულნი დასტოვა კარში.
შენ ჰე მეზარევ! შვა წირვის დაჰკარ!
— არ მოაცილო მინამდის ხელი,
სანამ ურწმუნო არ დაარწმუნო,
რომ ეს ქვეყანა არ არის თქვენი!!

სატანა.



სამტრედიიდან.

ბედმა ცუდი დრო გვარგუნა:
აირია მონასტერი,
და მოყვრობას გვეფიცება
გუშინდელი ორგულ-მტერი.

—

მოყვარე კი ვით იუდა
ურცხვად გვყიდის მტერზედ განა,
და პირში კი გვეფიცება:
არ გავს მოძმე შენისთანა.

—

ჯერ ჯვარს გაცვამს ვით პილატე,
„ტაქტიკური“ მოსაზრებით,
და მერე ვით უცოდველი
ატირდება კვლავ ცრემლებით.

—

განა ამას ვიფიქრებდი
მე ბედ შავი, მე ბედ კრული,
ლაქიობას ჩაიდენდა
დეპოს ჯგუფი „შეგნებული“?

—

მაისუროვ კომპანიას
გახდებოდა იგი მონა?
გეფიცებით არ მჯეროდა
გეფიცებით არ მეგონა!

—

მაგრამ ახლა სხვა დრო არი
ყველგან ხდება სასწაული,
ხშირად მოძმეს გაყიდიან
თუ ოიგეს სხვისი გული.

—

აქაურსა ბობოლებზე
კიდევ ითქმის რამე განა?
აბა როდის ღირსებიათ
დრო და ჟამი ამისთანა?

—

დღეს კი ყველა მოღვაწეა
ხალხის დიდი მეგობარი,
თუნდა გოგი ანდღულაძე
სამტრედიის აფთექარი

—

მისი ღმერთი ქანქარია,
სალოცავი —,რეცეპტები,
და მალულად გამოუცვლის
თუ არ მოსწონს ექიმები.

—

კლუბში მამასახლისობდა
იყო ერთობ მეტიჩარა,
ერთხელ მარცხი მოუვიდა
ლამის ფულმა შეიყვარა.

—

ბესოც მეტად გაგვიავდა
რაც მათრახში დაიწერა,
მგონი სუდში უჩივლია,
ვაი „ალის“ ბედის წერა...

—

დავამტკიცებ მე საჯაროთ
ფული არ მძულებიაო,
და შემცდარა რედაქტორი
რომ ეს უნებებიაო.

—

ათას მანათს გადაიხდის
ოცი მუხლის ძალითაო,
ან ციხეში მიბრძანდება
რედაქტორი „ალითაო“

—

რა ხანია დაიკარგა
სამტრედიის ბანკის თავი,
არ იციან ტყვეთაა თუ
„ქანქრის“ ველზე საცოდავი.

ალი.

ჩემი თავგადასავალს თბილისში.

(მეგობრის ნაამბობი)

1. თბილისი.

მატარებელი ელვის სისწრაფით მიმაქროლებდა თბილისისაკენ. ტკბილ და სანეტარო ფიქრებში გართული ვიჯექი მე მატარებლის სარკმელთან და უაზროთ გავიყურებოდი სადღაც შორს, შორს ცის სივრცეში. ის იყო ღამე დღეს ეყრებოდა, თენდებოდა, განთიადი მტრედის ფრად ეფინებოდა ამწვანებულ კეკლუც არე-მარეს. ბუნებაც იღვიძებდა, იშმუშნებოდა და აღმოსავლეთით სულ ახლად ამონატყორცნ ელვარე მზის სხივებს, ღიმილით ეგებებოდა... რა მშვენიერი, რა ნაზი და მომხიბვლელია ახლად გაღვიძებული ბუნება და მეტადრე მაშინ, როდესაც გასცქერი მას ელვის სისწრაფით მიმავალ მატარებლიდან; ბუნების სხვა და სხვა სურათები სინემატოგრაფიული ლენტის სიჩქარით გადის შენს წინაშე: მთები მთებს სცვლიან, ველნი ველს, მოდუდუნე მდინარეები მდინარეებს. დიახ, მომხიბვლელი იყო ბუნება, მ ტადრე იმ სანეტარო დილას;-მაგრამ ბუნების ასეთი სიმშვენიერე ჩემს გულს რაღაც არ ხვდებოდა, ვერ მიპყრობდა მისი სილამაზე, ვერ მიზიდავდა მისი სინაზე. ჩემი გული და გონება სულ სხვას დასტრიალებდა თავს.

ოჰ, შენ ვერ მიხვდები მკითხველო თუ რაზე ვვოცნებობდი მე, ვერა! მაშ გეტყვი: მე მისრულდებოდა დიდი ხნის წადილი, დიდი ხნის გულში ნადები სურვილი-მე საათის შემდეგ პირველათ ვნახავდი თბილისს ჩემი სამშობლოს დედა-ქალაქს, გორგასლანის ხელით ანაგებს! „თბილისი“ ღმერთო, რაოდენ სიხარულს და ბედნიერებას მგვრიდა ეს სიტყვა! საკმარისი იყო გამეგონა ეს სიტყვა, რომ ჩემი მთელი პატრიოტიული არსება სიხარულის ცახცახს აეტანა. დიახ, მე სამი საათის შემდეგ ვნახავდი თბილის, ჩვენს მშვენიერ თბილისს, სადაც ყოველი ადამიანი საქმიანობს, სადაც გაჩაღებულია ნამდვილი კულტურული მუშაობა სადაც ყალიბდება ახალ-ახალი „პარტიები“ და ცხვება-იჩეკება ახალ-ახალი „ორგანოები“, სადაც იგზნება და გუზგუზებს „სიტყვიერი“ ომის ცეცხლი ინტელიგენტთა შორის, სადაც ერთი სიტყვით ცხოვრება სდუღს და გადადის! თუმცა თბილისამდი ჯერ კიდევ კარგი მოგძო მანძილი იყო, მაგრამ ჩემი სული სხეულს გაჰყროდა, თბილისისკენ გადაფრენილიყო მას დასტრიალებდა თავს და ქება დიდებას ასხამდა მისთვის მუდამ მზრუნველ და მოჭირნახულე ქალაქის „მამებს“. ჩემი გონებაკი რაღაც გამალებული, აჩქარებული მუშაობდა, მას სურდა ოცნების საშვალებით წინდაწინ წარმოედგინა და დაენახა თბილისი მისი მშვენიერი სუფთა ქუჩებით, ტრამვაით, გვირგვინოსან ქალაქის თავით, სამოქალაქო საქმით დატვირთულ ხმოსნებით, ბედნიერ და „სრულუფლებიან“ მოქალაქეებით, „სინდისიერ“ ღიპიან ვაჭრებით, შემონახულ შაქრებით, სანიტრულით დაცულ რესტორანებით და ვინ იცის კიდევ რით. ამ სანეტარო ფიქრებმა ისე გამიტაცა რომ ვინ იცის როდის გამოვირკვევოდი, თუ უეცრად სწორედ ჩემ ყურთან კონდუქტორს თავისი ბოხის ხმით არ დაეყვირა:

— Билетъ, господа, билетъ!

ეს ხმა ჩამწვდა ყურში, დამირღვია ოცნება და გამომაღვიძა. შეუმჩნეველათ გასულიყო სამი საათი, მატარებელი ყიჟინით უახლოვდებოდა თბილისის სადგურს; აი კიდეც გაუსწორდა და ქშენით გაჩერ-

და. მთელი სხეული აღტაცებისაგან მიცახცახებდა, გულიც ისე ძალზე ტოკავდა, რომ ბუდიდან გადმოვარდნას ლამობდა.

— „სალამი ჩემო ბებერო თბილისო, ძლივს მეღირსა შენი ნახვა, შენი ცქერით დატკბობა, ჩემო სამშობლოს დედა ქალაქო, მიიღე შენი უღირსი შვილი შენს მფარველ ფრთებს ქვეშ!“ აი ეს სიტყვები აღმომხდა მე გულიდან თბილისის დანახვის დროს, სწრაფათ დავავლე ათრთოლებული ხელი ჩემს ჩემოდანს და თითქმის სირბილით გადმოვეშვი მატარებლიდან, ძლივს ძლივობით გავარღვიე ბაქანზე მოსიარულე ხალხი და როგორც იყო შევედი სადგურში.

2. პირველი მარცხი.

სადგურიდან რომ გადმოვიარე და ქუჩაში გამოვედი, ჩემი ყურადღება მიიპყრო იქვე ახლო მოგროვილმა ხალხმა. მე განმაცვიფრა მათმა მდგომარეობამ: ზოგი მათგანი ქვებზე იჯდა, ზოგი ფეხზე დგომით გაზეთს ათვალიერებდა, ზოგი ბოლთის ცემით პაპიროზს აბოლებდა და ყველანი კი საერთოთ რაღაც მოუთმენლათ ხშირ-ხშირათ ხან მარცხნივ გაიყურებოდენ და ხან მარჯვნივ. მათ მოუსვენარ სახეზე ადვილათ შეამჩნევდით, რომ რაღაცას უცდიდენ, რაღაცას ელოდებოდენ.

— ვის უცდის ეს ხალხი აქ?—შევეკითხე ერთ ახალგაზდას, რომელსაც ხელში „საქართველო“ ეჭირა, კითხვა ალბათ მობეზრებოდა და ახლა დროს გასატარებლათ ქინძისთავით ჩხვლეტდა და რაღაც ნაჩხვლეტების სურათები გამოყავდა ზედ *).

ჩემი კითხვა ალბათ მას ძლიერ ეუცხოვა, რადგანაც მაშინვე არ მიპასუხა, ჯერ იქვის თვალით ამათვალ-ჩამათვალიერა და შემდეგ როდესაც დარწმუნდა, რომ ახალ ჩამოსული ვიყავი და სრულიად უკოდინარი ადგილობრივი ვითარებისა, მოკლეთ მომიგო:

— ტრამვაის ვუცდით.

— ტრამვაის უცდით, ჰმ... მე მხოლოდ მაშინ შევამჩნიე იქვე ქუჩაზე ტრამვაის ლიანდაგი და მხოლოდ მაშინ გამახსენდა რომ თბილისში ტრამვაი არსებობდა.

მეც ხომ ტრამვაით უნდა წავიდე ქალაქში, მაშ მეც დაუცდი, გავივლე გულში, დავდევი იქვე ჩემი ჩემოდანი, დავჯექი ზედ, შემოვიდგი თავზე ხელი და დავიწყე ლოდინი. თან გული სიამოვნებით მიძგერდა, ცოტა ხანი კიდევ და მეც გავქროლდები ტრამვაით თბილისის ქუჩებზე, ვფიქრობდი მე, ალბათ კიდევ ბევრი ლოდინი მომინდა რადგანაც ამ ფიქრებში კიდეც ჩამძინოდა. მე მხოლოდ ზარის რაწკუნმა და შორიდან მომავალ ტრამვაის ხმაურობამ გამომაღვიძა. ტრამვაის მოსვლაზე ხალხი ალელდა, წამოიშალა და ალყასავით გარს შემოერტყა მას. რომ უადგილოთ არ დავრჩენილიყავი და კიდევ ლოდინი არ დამჭირვებოდა, მეც სწრაფათ წამოვიჭერი ზეზე და ელვის სისწრაფით გავექანე ადგილის დასაჭერათ. დიდი ბრძოლისა და იერიშების მიტანის შემდეგ, რომლებმაც არა ერთი და ორი შეკურთხება მარგუნა წილათ, გავარღვიე ხალხი და დავიჭირე ადგილი. ოჰ, როგორ სიხარულით ამიფეთქდა გული, როდესაც ამაყად წამოვჯექი ტრამვაის სკამზე! ჩემში გამარჯვებული რაინდის სიამაყემ დაისადგურა! ირონიულის ღიმილით გადავსქერიდი ძირში მოჩოჩქოლე ხალხს, რომელიც ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდა ადგილისათვის და გულში ეშმაკურად მეცინებოდა. მე ახლა მოუთმენლათ მხოლოდ ტრამვაის დაძვრას ველოდი. აი კიდეც დაუსტვინა კონდუქტორმა, მას მოყვა ზარის რაწკუნი და დაიძრა ტრამვაი. მეც ძლივს, ის იყო თავისუფლათ ამოვისუნთქე, რომ უეცრად კისერზე რაღაც რბილი საგანი ჩამომაწვა. საგანის სიმძიმემ თავი უნებლიეთ ჩამაღუნვია, როდესაც დიდი გაჭივრებით ზევით ავხედე, მხოლოდ მაშინ დავინახდ, რომ ვიღაც სქელი ჩასუქებული, წვერებ მოპარსული და თავ-მელოტიანი სერთუქოსანი კისერზე დამჯდომოდა. მას ფეხები ჩემს მხრებზე გადმოეშვა და თითქოს აქ არაფერიაო, არხეინად პაპიროზს აბოლებდა. „ღმერთო ეს რა არის ჩემს თავზე!“ თითქმის ხმამაღლა წამოვიძახე მე. ბრაზმა ამიტანა, შეურაცყოფილი ადამიანის რიცხვა ყელში მომაწვა! მე მზათ ვიყავი მომეკრიბა უკანასკნელი ძალ-ღონე და ეს ჩემი უზრდელი მხედარი გაქანებულ ტრამვაიდან ქუჩაში გადმომესროლა. მაგრამ აქ ერთმა გარემოებამ შემაყენა, როდესაც ჩემს გარშემო მივიხედ-მოვიხედე დავინახე, რომ ვინც სკამზე იჯდა ყველა ჩემს გარემოებაში იყო, თითოთითო მგზავრი ყველას ეჯდა კისერზე.

— „აქ, ალბათ ასეთი კანონი არსებობს, ვინც ტრამვაიაში ადგილს იშოვნის მან უეცველად თავისი კისრით თითო მგზავრი უნდა წაიყვანოს!“ გავივლე გულში და დავემორჩილე ჩემს ხვედრს. ახ-

*) თუ ცამეტი ნაჩხვლეტი იყო, განზრახვა ადვილი ასახსნელია.

ლა მხოლოდ მე ჩემს თავს ვუბრაზდებოდი აჩქარებისათვის და ადგილის დაკავებისათვის. ჯერ კიდევ კარგათ ვერ გამოვრკვეულიყავ, ამ შეურაცყოფისაგან, რომ უეცრათ მემანქანემ ისე სწრაფათ შეაჩერა გაქანებული ტრამვაი, რომ მთელი ვაგონი მგონი ერთ საჟენზე შეხტა, საშინლათ შეინძრა, ჩემი მხედარიც შეტორტმანდა და მგონი ჩემს კისრიდან ძირს გადმოკოტრიალდა, მეც მოვწყდი ჩემს ადგილს და წინ გადავეშვი, თავი ტრამვაის რკინის სვეტს მივარტყი, აქ წამოდგომა დავაპირე, მაგრამ საუბედუროთ ჩემი ჩემოდანი გამომედვა ფეხებში, ხელმეორეთ წავიქეცი და ჩემი ჩემოდნიანა ტრამვაიდან ქუჩაში მოვადინე ბრაგვანი. აქ ალბათ გული შემიწუხდა, რადგანაც მას შემდეგ რა მოხდა ალარაფერი მახსოვს.

3. ბრძოლა ქუჩაში.

როდესაც გამოვერკვიე და თვალი, გავახილე უპირველეს ყოვლისა მე დავინახე ჩემს წინ ალმართული უზარ-მაზარი წითლათ შეღებილი და დაზგაზე წამოდგმული ბოჭკა, რომელზედაც სხვილი ასოებით ეწერა: „Холодный русскій квасъ, кружка 2 коп.“ თავი ალბათ კიდევ მიბრუოდა, რადგანაც ასოები ბოჭკაზე ხტოდენ და ცეკვავდენ. მთელი ტანი რაღაც მოლანთული მქონდა, აგერ-ეგერ ტკივილებსაც ვგრძნობდი. მე გამაკვირვა ჩემმა მდგომარეობამ; ვერ მომესაზრა სად ვიყავი და რა დამმართოდა. მაგრამ ამ დროს ვიღაცამ თავზე მგონი ცავი წყალი დამაპკურა, ამას მოყვა ხმები: „დახე, დახე თვალი გაახილა! მგონი მორჩა არა უშავს“ ამ სიტყვებმა სრულიად გამომარკვია, მოვაგონდა ჩემი თავგადასავალი ტრამვაიზე. წამოდგომა დავაპირე, აქ ვიღაცა დამეხმარა და ზეზე წამოვჯექი. მივიხედ-მოვიხედე და დავინახე, რომ ქუჩაზე, საკვასე „ბუტკის“ წინ ვიყავი. ჩემს გარშემო აუარებელი ხალხი შეგროვილიყო და ცნობის მოყვარეობით მიცქეროდენ. ზოგ მათგანს ღიმიც უთრთოდა პირზე.

— „როგორ გრძნობთ თავს?“ — შემეკითხა მ უცელ წამოსიებული სქელი ჭაღარაოსანი კაცი, ალბათ თვი თონ მეკვასე.

— გმადლობთ, არა მიშავს რა, მხოლოდ თმა მ აქვს გაწეწული მგონი სისხლისგან, ალბათ ძლიერ დამიკ რავს თავი ქვაზე რომ სისხლი მიდენია,-ვუპასუხე მე. თმა მართლაც სულ გაწეწული მქონდა.

— არა ყმაწვილო, ეგ სისხლით არ არის, როდესაც ფულშეწუხებული იყავით, ცივი კვასი დაგაპკურეთ თავზე, კვასი ხომ იცით შაქრიანია და უეჭველია იმის ბრალი იქნება, მომიგო მან ღიმილით, ამაზე ხალხშიც აგერ-ეგერ სიცილი ატყდა.

— კვასი რისთვის!? ცოტა უხერხულათ შევეკითხე მას.

— ჰმ! თქვენ ალბათ ახალ ჩამოსული ბრძანდებით, რომ ეს არ გცოდნიათ, დღით აქ ქალაქში წყალი არ იშოვება და მაშ რა გვექნა!? ისევ ღიმილით მიპასუხა მან.

მე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდი ჩავარდი, კიდევაც შემრცხვა ჩემი ასეთა უცოდინარობა. უხერხულობის გასაფანტავათ ტანსაცმელს და ქუდს დაუწყე ულაზათოდ ბერტყვა, რომლებიც მტვერში თრევით სულ ერთიანათ გასვრილიყო. შემდეგ მადლობა გადაუხადე ჩემს მზრუნველებს, გამოვემშვიდობე და გავსწიე ჩემი მოგზაურობის გასაგრძობათ. „ოჰ, როგორ ღმერთი გამიწყრება და შემდეგში კიდევ ტრამვაიში ჩავჯდები?!“ ვამბობდი ჩემთვის და მივდიოდი საკმაოდ გრძელ და ფართე ქუჩაზე. საშინლათ ცხელოდა, მზეც პირდაპირ თავში მიცხუნებდა, დავაპირე ქუჩის მეორე მხარეზე გადასვლა რადგანაც იმ მხარეზე უფრო გრილოდა. ის იყო შუა ქუჩას მივაღწიე და ტრამვაის ლიანდაგი უნდა გადამერო, რომ უეცრად სად იყო სად არა გამოჩნდა შორიდან ავტომობილი, ის მოჰქროდა სწორედ ჩემს პირდაპირ. მე შიშით დაუცალე გზა და მარცხნით გადუხვიე მაგრამ ჩემდა განსაცვიფრებლათ იმანაც მარცხნით გადმოუხვია მე გავექანე ისევ მარჯვნივ, ისიც მარჯვნით წამოვიდა, მე ხელმეორედ მარცხნით წავედი ისიც მარცხნით გამომყვა. აქ მე სრულებით დავიბენი, ვერ მოვისაზრე ქუჩის ტროტუარზე გადასვლა „სწორედ ჩემი მარცხი სწადია მეთქი“ ვიფიქრე და ანგარიშ მოუცემლათ რაც ძალი და ღონე მქონდა მოვკურცხლე პირდაპირ შუა ქუჩით, ავტომობილი კი უკან მომდევდა; მაგრამ დიდხანს ალარ მირბენია, მალე მუხლებმა მისუსტა და ღონე მიხდილი, დასუსტებული დავეცი ქუჩაზე. სულს ძლივს ვითქვიმდი, გული მიღონდებოდა, რადგანაც სიკვდილის მოახლოვებას ვგრძნობდი, აი ერთი თვალის დახამხამება და გადამივლის ავტომობილი და გავთავდები ყფიქრობდი გულში... მაგრამ უეცრათ ვიღაცის მადლიანმა ხელმა ელვის სისწრაფით ამიტაცა ზევით და ქუჩის ტროტუარზე დამსვა, ალბათ ძლიერ სწრაფათ მოხ-

და ეს ყველაფერი, ჩემი აყვანა და ავტომობილის იმ ადგილზე გასრიალება ერთი იყო.

ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მოვსულიერდი და დავწყნარდი, მე დავინახე ჩემს წინ მდგარი ახალგაზდა ყმაწვილი, რომელიც მზრუნველობით შემომცქეროდა.

— ხომ არ დაგშავებიათ რა?—ტკბილათ შეკითხა ის.

— გმადლობთ, არაფერი.

— კინალამ არ გაგსრისათ იმ ვერანამ, ძლივს მოვასწარი თქვენი აყვანა.

— ოჰ, ეს თქვენ იყავით! მაშ, თქვენ გადამარჩინეთ სიკვდილისაგან?¡

გმადლობ, მეგობარო გმადლობ.—აქ მე გადავეხვიე უცნობს და გადავკოცნე—ოჰ, ამას მე ვერ გადაგიხდით მეგობარო, მაგრამ ეს აქ რა ამბავი ყოფილა?“ აღელვებული ვამბობდი მე.

— ااا, თქვენ ალბათ ახალ ჩამოსული ბრძანდებით და არ იცით, რომ აქ ქუჩებში ბრძოლაა გაჩაღებული.

— როგორ თუ ბრძოლა? გაკვირვებით შევეკითხე მე.

(დასასრული იქნება)

ლონდინიუს პოდბიპენტა.

წერილი რედაქციის მიმართ.

პატივცემულ თქვენი ჟურნალის 15 № ში ბ-ნი **არონ ტულუში წინანდადებას** **მაძლევს** იმ ჩემი „გამოცანა ლანჩხუთისთვის“ შესახებ, რომელიც დაიბეჭდა ამავე ჟურნალის 4 № ში, რომ ან გავაცხადო: **გამოცანა არ ეხება ტულლუშს** და ან **გავყვე მას სამართალში**, თორემ ცილის მწამებლის სხელთ მონათვლას მემუქრება.

ამის შესახებ ბ-ნ ტულუშის საყურადღებოთ ვაცხადებ შემდეგს: ხსენებულ გამოცანაში არავისი და მაშასადამე არც ბ-ნ ტულუშის და მაშასადამე არც ბ-ნ ტულუშის ვინაობა არც ტიტული არარის ნახსენები სადაც აშკარაა ვერავინ და ვერევის ვერც შეითვისებს და ვერც მიათვისებს გამოცანის შინაარსს იურიდიულათ, რადგან გამოცანაში დახატულია **ტიპი მავნე** ადამიანისა, რომელიც ყოველ საზოგადოებაში და მით უფრო ლანჩხუთშიაც მოიპოვება, რომელიც აწუხებს და ატყუილებს, როგორც საზოგადოებას ისე მთავრობას და არა თუ დაუსჯელად, ხშირათ სხვის დამსჯელათ და კანონის „დამცველადაც“ რჩება, მარა მისი ვინაობა დრომდის მარტო მისმა მონაწილეებმა იციან, მხოლოდ ნამოქმედარს მისს მთავრობაც და ხალხიც ხედავს და დაეძებს კიდეც. დასასრულ, გამოცემაში თუ ვინემ თავის სახე დაინახა იცნო ავტორი ამაშიაც უდანაშაულოა თვარა მტერმა (როგორც ტუღუში ამბობს) რამდენიც უნდა იძახოს. ი. ე—ძემ კაცი მოძკლა, ვლ. გ—ძემ დუქნები გაქურდა. ბ. წ—ძე ყაჩაღებთან ცხოვრობსო არც საზოგადოება და არც ბატონ ტუღუში ამას ისე არ ღაიჯერებს, როგორც თვით ტუღუშზედ გამოცანის ბრალდებას.

პატივცემით **ბურცევი.**

ღია წერილი

ბატონო ეშმაკო!

მივიღე თქვენი წინადადება მამა **გიორგი კვირკელიას** შესახებ და შეუდექი კიდეც **მეორე მუხლის** სისრულეში მოსაყვან ენერგიულ მუშაობას. რაც შეეხება **პირველ მუხლს** აუქმებს **მესამე მუხლი**, რადგან ჩემს ძალას აღემატება მაგი გიორგის საზოგადო მოღვაწეობის სრული აღწერა **და** ღმორჩილესად ვსთხოვ თქვენს რედაქციას გამოგზავნოს განსაკუთრებული და საგანგებო **გამომ**ძიებელი აღნიშნული საქმის სისრულეში მოსაყვანათ.

პატივისცემით **ბუტუნა.**

მამა გიორგი კვირიკელიას.

პატიოსანო მამაო!

იმ ინცინდენტის აღნიშვნის გამო, რომელიც მთელმა ფოთმა, საპოლიციო განყოფილებამ **და** მოგრიგებელმა მოსამართლემაც კი იცის, თქვენ გინებებია ჩემი დასჯა ისეთის საშვალებით, რომლის წინააღმდეგ ჭეშმარიტება და მოწამე ნაკლებათ გამოდგება თურმე, რისთვისაც მე მივმართავ თქვენს სათნო და კაცთ მოყვარე გულს, შესცვალოთ გზა ჩემის დასჯის და მაგებინოთ პასუხი ისეთ სასამართლოში სადაც „დიფამაცია“ არ შევა ძალაში და ყოველი **ადამ**ნაშავე შესაფერად დაისჯება. თუ თქვენ ამას არ ინებებთ თქვენი საქციელი იმიზაც აშკარა გახდება ვინც დღემდის არა იცოდა რა.

დავშთები თქვენი მორჩილი **ბუტუნა.**

ქალაქ თფილისში

გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული გამოცემა

ეშმაკის მათრახი

ჟურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგებენ **ეშმაკი და თაგუნა,**
ხოლო გამოცემის საქმეს ა. გ. ბუკია.

ჟურნალის ფასი - 12 თვით 5 მ. ✦ 6 თვით 3 მ. ✦ 3 თვით 1 მ. 50 კ. ✦ 1 თვით 50 კ.

„ეშმაკის მათრახში" დაიბეჭდება მ ხ ო ლ ო დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

✦ ჟურნალში დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ ადრესით:

Тифлисъ *)

С. Р. Таварткиладзе.
Олгинская 6,
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრახისათვის)

*) ეს ადგილი კონვერტზე მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ
✦ უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის ✦